საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ. კ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.02.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №015/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ჯ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 02 თებერვალს, ადვოკატ დ. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ლ. კ.-მ. საჩივრის ავტორი დაესწრო 2022 წლის 15 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომას, რა დროსაც დაადასტურა წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. ჯ.-ის მიმართ, მისი პრეტენზია ეხება ადვოკატ ა. ჯ.-ს „ფეისბუქ“ გვერდზე 2021 წლის 15 დეკემბერს, 18:04 საათზე გამოქვეყნებული პოსტის კომენტარებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ა. ჯ.-ს მიერ გამოქვეყნებული პოსტი ეხებოდა ს. ს. ს.-ში მიმდინარე დავას - „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე ადვოკატმა ა. ჯ.-მ დასვა პროფესიული კითხვა, რასაც გამოეხმაურნენ სხვა ადვოკატები და გამოთქვამდნენ პროფესიულ მოსაზრებებს საქმესთან დაკავშირებით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ პოსტზე მ. ჭ., ლ. ჯ. და დ. ჯ. გამოირჩეოდნენ აგრესიით და შეურაცხყოფას აყენებდნენ როგორც მას, ისე ა. ჯ.-ს და დანარჩენ კოლეგებს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების დროს, ის იყო ხმის დამთვლელი კომისიის ერთ-ერთი წევრი. ადვოკატი დ. ჯ. თავის კომენტარებში მას მოიხსენიებდა როგორც დ. ა.-თან დაახლოებულ პირს; ხმის დამთვლელ კომისიას უწოდა „სკანერთან მოკალათებული გამყალბებლები“; წერდა, რომ ადვოკატთა ასოციაცია არის „პროკურატურის ფილიალი“ და „იქიდან იმართებიან“.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. ჯ.-მა პირადად ის მონიშნა კომენტარებში და განაცხადა, რომ „ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე რომ გახდება, ყველას გადაგვთვლის“.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობის გამოქვეყნების შემდეგ, ადვოკატმა დ. ჯ.-მ ამოშალა „ფეისბუქ“ მეგობრების სიიდან და გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ლ. კ.-ს „გამყალბებლად“ მოიხსენიებდა, რაც საჩივრის ავტორის შეფასებით არის რეპუტაციის შემლახველი და შეურაცხმყოფელი განცხადება. ლ. კ.-ის განცხადებით, ადვოკატმა დ. ჯ.-მ არაერთი ასეთი ცილის მწამებლური პოსტი გამოქავეყნა „ფესიბუქ“ გვერდზე და იგივე ბრალდებები გააჟღერა საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც შეურაცხყოფას აყენებდა ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო კომისიის წევრებს.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. ჯ.-მ, მოგვიანებით, მის მიერ დაწერილი კომენტარების ნაწილი წაშალა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. ჯ.-ის ქცევა არის არაკოლეგიალური, შეურაცხმყოფელი, ითხოვს მის დისციპლინირებასა და დისციპლინური სახდელის სახით ყველაზე მსუბუქი სახდელის - გაფრთხილების დაკისრებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ჯ.-მ 2022 წლის 08 თებერვალს წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა ეთიკის კომისიაში, სადაც განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ა. ჯ.-მ სასამართლო სხდომის მხოლოდ ის ნაწილი გაასაჯაროვა, სადაც მას უთანხმოება მოუვიდა მოსამართლე ე. გ.-სთან და არ პასუხობდა მოსამართლის კითხვებს.

2.3 ადვოკატ დ. ჯ.-ის განმარტებით, საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ის კომენტარები, სადაც თავად ლ. კ. აყენებს მას შეურაცხყოფას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარუდგენია ის კომენტარები, სადაც დ. ჯ. მოუწოდებდა ლ. კ.-ს, ა. ჯ.-ს, ლ. ჯ.-ს და ა. მ.-ს შეეწყვიტათ ერთმანეთის ლანძღვა და ადვოკატთა სექტორის დაკნინება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა ერთ-ერთი სადავო საკითხია, რის თაობაზეც ადვოკატთა ასოციაციას განცხადებით მიმართა. ადვოკატის პოზიციით, საჩივრის ავტორისათვის აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი იყო და ეთიკის კომისიისათვის მომართვისას ის მიზნად ისახავდა მისი საქმიანობისათვის ხელშეშლას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მისი კომენტარები არ ყოფილა შეურაცხმყოფელი და მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცული ქცევის სტანდარტები, ხოლო საჩივრის ავტორი, მისი და სხვა ადვოკატების ლანძღვით ცდილობს ერთამენთს დაუპირისპიროს კოლეგები.

2.7 ადვოკატის პოზიციით, საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიაში წარდგენილი საჩივრით ითხოვს კოლეგისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, ვინაიდან საჩივარი არ მოიცავს მისი, როგორც ადვოკატის მიერ ჩადენილ ეთიკურ გადაცდომებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1. ადვოკატი დ. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

4.2. ადვოკატმა ლ. კ. -მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 02 თებერვალს.

4.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ჯ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 2022 წლის 23 მარტს საჩივრის ავტორმა ადვოკატმა ლ. კ.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ სურს გაიხმოს საჩივარი და ადვოკატ დ. ჯ.-ის მიმართ შეწყდეს ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოება.

5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ

შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ დ. ჯ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N015/22 შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ დ. ჯ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/